# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№7 (265) სექტემბერი, 2013 წ. www.tsmu.edu


## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატი, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, პროფესორ-მასწავლებლები ახალი სასწავლო წლის დაწყებას გილოცავთ სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, თითოეულ თანამშრომელს!

## მადლობას გიხდით, რომ აირჩიეთ ჩვენი უნივერსიტეტი!



ახალი სასწავლო წლის დაწყება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და მას ყოველთვის ამაღლებული განწყობით ვხვდებით.

ამ მნიშვნელოვან დღეს ვულოცავ ჩვენს სტუდენტებს – წარმატებას გისურვებთ! გვჯერა, რომ ახალ–ახალი მიღწევებით კვლავაც გაგვახარებთ და თქვენი სახელოვანი ალმა-მატერი თქვენით იამაყებს.

ახალი სასწავლო წელი განსაკუთრებულია პირველკურსელებისთვის. მადლობას გიხდით, რომ აირჩიეთ ჩვენი უნივერსიტეტი. აქ, უმდიდრეს ტრადიციებზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიიღებთ ცოდნას, რაც მომავალში თქვენი წარმატებული პროფესიული საქმიანობისა და ნათელი მომავლისკენ წინსვლის საწინდარი იქნება. თქვენთვის ეს ახალი ცხოვრების დასაწყისია და ამიტომაც მსურს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელით განსაკუთრებით მოგესალმოთ და წარმატებები გისურვოთ.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავთ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, რომელთა თავდადება და ყოველდღიური შრომა ჩვენი უნივერსიტეტის მუდმივი წინსვლის საფუძველი იყო მუდამ და დარწმუნებული ვარ, ახალ სასწავლო წელსაც ჩვეული ერთგულებით და პასუხისმგებლობით მოემსახურებით საყვარელ საქმეს – მომავალი კადრების აღზრდას, მეცნიერების განვითარებას, პაციენტზე ზრუნვასა და წარმატებულ კლინიკურ საქმიანობას. **ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა ძალიან დიდია, რადგანაც ადამიანის სიცოცხლეს ვემსახურებით, ამას კი მაღალი პროფესიონალიზმი და თავდაუზოგავი შრომა სჭირდება.**

სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ჩვენს უცხოელ სტუდენტებს, რომელთა რიცხვიც მიმდინარე სასწავლო წელს 1700-ს გადააჭარბებს. საყურადღებო დინამიკაა – უკანასკნელი 4 წლის მანძილზე უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რვაჯერ და მეტად გაიზარდა, გაფართოვდა ჩვენი სტუდენტების გეოგრაფიული არეალიც – ჩვენთან მსოფლიოს 40-მდე ქვეყნის მოქალაქეები სწავლობენ. დარწმუნებული ვარ, სამედიცინო უნივერსიტეტში მათ გულისხმიერი დამოკიდებულება და სწავლების მაღალი ხარისხი დახვდებათ.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ჩვენს მრავალრიცხოვან გულშემატკივარსა და პარტნიორს, ვისაც წვლილი შეაქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინსვლასა და განვითარებაში.

ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა ჩვენმა სტუდენტებმა შესაფერის აკადემიურ გარემოში მიიღონ განათლება; ერთად მომავალშიც განვამტკიცებთ სამედიცინო უნივერსიტეტის სახელოვან ტრადიციებს კონკურენტუნარიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ექიმებისა და ექთნების, ფარმაცევტების და ჯანდაცვის ორგანიზატორების აღზრდის საქმეში, ერთად დავიცავთ მოქალაქეობრივ, პროფესიულ და ზნეობრივ პრინციპებს, შევინარჩუნებთ ექიმისა და მასწავლებლის მაღალ რეპუტაციას, ერთად ვიდგებით ადამიანთა ჯანმრთელობისა და, საზოგადოდ, ქვეყნისა და ხალხის სამსახურში...

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და ადმინისტრაცია ყველაფერს გავაკეთებთ მშობლიური უნივერსიტეტის მომავალი გამარჯვებებისთვის, ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის.

**პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი**

## ახალი სასწავლო წლიდან ექიმების მომზადების ამერიკული პროგრამა იწყება

***პროგრამა კურსდამთავრებულებს მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში ექიმად მუშაობის შესაძლებლობას მისცემს.***

თანამედროვე მსოფლიო ნებისმიერ სფეროში მაღალ სტანდარტს მოითხოვს. ეს, რაღა თქმა უნდა, ეხება მედიცინასაც. უფრო მეტიც, ხშირად საზოგადოება განსაკუთრებით მკაცრი სწორედ მედიკოსების მიმართაა. პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის გარეშე კი წარმატების მიღწევა შეუძლებელია, რისი წინაპირობაც მაღალი ხარისხის განათლების მიღებაა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დიდი ტრადიციების ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელია ამიერკავკასიაში. ჩვენი უნივერსიტეტი სტუდენტებს ხშირად სთავაზობს საინტერესო და მნიშვნელოვან ინოვაციებს და ამ შემთხვევაშიც უდიდეს ყურადღებას სიახლე იმსახურებს.

2013 წლის სექტემბრიდან სამედიცინო უნივერსიტეტი დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამას იწყებს, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ემორის უნივერსიტეტების (აშშ, ატლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთობლივი პროექტის საფუძველზე შემუშავდა.

ინგლისურენოვანი სწავლება და პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის პროცესშივე აშშ-ის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის (United State Medical Licensing Examination - USMLE) ჩაბარებას. ამ ლიცენზიის მფლობელი კი მუშაობის უფლებას მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში მიიღებს, რითაც უსაზღვროდ ფართოვდება მისი დასაქმების, პროფესიული დახელოვნების, მუდმივი პროფესიული განვითარების არეალი. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურდამთავრებულებს ყოველთვის ჰქონდათ შესაძლებლობა საერთაშორისო დონის სალიცენზიო გამოცდებზე გასულიყვნენ, რისთვისაც ისინი, ინგლისური ენის ცოდნის გარდა, დამატებით მომზადებას საჭიროებდნენ. ახალი პროგრამით კი სალიცენზიო გამოცდებისთვის მზადება და მათი ჩაბარება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რაც დროს, ენერგიას და ხარჯებს ზოგავს.

პროგრამის მიზანია აღზარდოს საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური ექიმები, რომლებიც მზად არიან დიპლომისშემდგომი განათლებისა და სპეციალური მზადებისთვის როგორც საქართველოში, ისე – მის საზღვრებს გარეთ. სწავლის პროცესში ბაზისური და კლინიკური დისციპლინები ინტეგრირებულია და სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის დაწყებისთანავე აქტიურად ჩაერთოს კლინიკურ საქმიანობაში და, ამავდროულად, განახორციელოს სამეცნიერო კვლევაც. აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება მიეცემათ სწავლის, სამეცნიერო კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის ეტაპები გაიარონ ემორის უნივერსიტეტში. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი მიენიჭება. ამასთან, სამეცნიერო კვლევაში აქტიურად ჩართულ სტუდენტს, დიპლომირებული მედიკოსის (M.D.) ხარისხთან ერთად, შესაძლებლობა ეძლევა დამატებით აიღოს მაგისტრის ხარისხი მედიცინის მეცნიერებაში (Master of Medical Science) და განსაკუთრებული წარმატების შემთხვევაში – დოქტორის ხარისხი (Ph.D.).

სწავლის ხანგრძლივობაა 6 წელი; სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქეებისთვის წლიურად 8 ათას ლარს შეადგენს.

მსურველთა პროგრამაში ჩართვა საქართველოს მოქალაქეებისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების საშუალებით განხორციელდება.


სამედიცინო გაზეთის რედაქცია: ვაჟა-ფშაველას გამზ. №33, ოთახი 600, ტ: 254-24-64; რედაქტორი – დალი გაბეშია ტ: 599 76 25 98;
კორესპონდენტები: მანანა ფხალაძე ტ: 555 29 98 27; დარეჯან კომლაძე ტ: 558 17 08 47; ნატო ბოლქვაძე ტ: 55 28 28 97
ელ. ფოსტა: medpressa@yahoo.com

სამედიცინო გაზეთი

# საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის ბაკალავრის ქართულ-ფრანგული საგანმანათლებლო პროგრამა



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და საქართველოს ჯანდაცვის და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით სწავლებისა და სპეციალისტთა პროფესიული განვითარების ოპტიმიზაცია საგანმანათლებლო გეგმა-პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საფუძველზე მიმდინარეობს. აღნიშნულის მიზანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რისთვისაც შემუშავებულია ახალი ადაპტირებული სასწავლო პროგრამები.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე მოქმედი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ დაინტერესება გამოხატეს ფრანგმა სპეციალისტებმა, კერძოდ: მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემიის – „უნიმენი“-ს დირექტორმა, ქალბატონმა **სოფიო სილვესტრემ** და ამავე აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ალან სომბარდიერმა**. აღსანიშნავია, რომ მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია „უნიმენს" მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს გრენობლის უნივერსიტეტთან.

ფაკულტეტზე მოქმედმა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამამ ფრანგული მხარის მოწონება და ინტერესი დაიმსახურა, რის საფუძველზეც შემუშავდა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის ბაკალავრის ერთობლივი (ქართულ-ფრანგული) საგანმანათლებლო პროგრამა. **საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და მენეჯმენტისა და აღსრულების აკადემია – „ЎНИМЕНС" შორის დადებული ხელშეკრულება.** ისინი, საქართველოსა და საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, არიან უფლებამოსილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, აქვთ შესაძლებლობა და ნება განახორციელონ საგანმანათლებლო საქმიანობა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, კვლევითი ფონდების ორმხრივი გამდიდრებისა და კვლევების რეალიზაციის მიზნით.

ორმხრივი ურთიერთანამშრომლობის შედეგად, **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე 2012 წლიდან ამოქმედდა ქართულ–ფრანგული საბაკალავრო პროგრამა – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“**, რომელიც შემუშავდა და განხორციელდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და მენეჯმენტის და აღსრულების აკადემიის („უნიმენი“, საფრანგეთი) ერთობლივი პროექტის საფუძველზე.



2012–2013 სასწავლო წლისთვის გამოცხადებულია მიღება საგანმანათლებლო პროგრამაზე – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“: გათვალისწინებულია 50 აბიტურიენტის ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ამასთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის I და II კურსის ნებისმიერ სტუდენტს საშუალება აქვს, პირადი განცხადების საფუძველზე, სწავლა გააგრძელოს ახალი ქართულ-ფრანგული პროგრამით – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“.

2012 წლის სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის I და II კურსზე ორი საპილოტე ჯგუფი შეუდგა ამ პროგრამით სწავლას.

ქართულ–ფრანგულ პროგრამაზე – „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი“ – საქართველოს მოქალაქეებისთვის სწავლა მიმდინარეობს ქართულ ენაზე; უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის – ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია (წლის განმავლობაში 280 კრედიტის მოცულობით). სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქეებისთვის შეადგენს 4000 ლარს, უცხოელი მოქალაქეებისთვის – 4 000 ამერიკულ დოლარს.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს (ბაკალავრს) მიეცემა ორი დიპლომი: ა) ქართული – საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული კანონმდებლობით დადგენილი წესით; ბ) ფრანგული – საფრანგეთის სახელმწიფოს მიერ აღიარებული კანონმდებლობით დადგენილი წესით. ქართული და ფრანგული დიპლომებით მინიჭებული იქნება შესაბამისი სახელმწიფოების მიერ აღიარებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. აღნიშნული დიპლომების ვალიდურობა პროგრამის კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება საფრანგეთშიც. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ყოველი სტუდენტი, რომელიც რეგისტრირებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამაში, ვალდებულია მიჰყვეს „FLE”-ეს (ფრანგული ენის) კურსს.

# ტემპუსის პროექტი – MUMEENA – „დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროგაერთიანების აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში“



ტემპუსის პროექტის გახსნითი კონფერენცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

2011 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტემპუსის სამწლიანი პროექტის – „დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროგაერთიანების აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში” – ძირითადი მონაწილე. ჩვენს უნივერსიტეტში პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები არიან: პროფესორი **გაიანე სიმონია** (ლოკალური კოორდინატორი), უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, რექტორის მოადგილე, პროფესორი **რიმა ბერიაშვილი**, ასოცირებული პროფესორები: **მაია ოკუჯავა** და **ია ფანცულაია**.

პროექტი შემუშავდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტში. ამდენად, ყველა დაგეგმილი ამოცანა პირველად ჩვენს უნივერსიტეტში ხორციელდება, შემდეგ კი მიღებული გამოცდილება ვრცელდება პარტნიორ უნივერსიტეტებში.

პროექტის მიზანია დიპლომამდელი სამედიცინო განათლების ინტეგრირებული კურიკულუმის შემუშავება ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის, MEDINE-ის და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის სტანდარტების შესაბამისად, თითოეულ მონაწილე ქვეყანაში აკადემიური განვითარების ცენტრის შექმნა, პროფესორებისთვის ტრეინინგების ჩატარება ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებში, ყოველწლიური კონფერენციების ჩატარება სამედიცინო განათლების აქტუალურ საკითხებზე სამედიცინო განათლების საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტების მონაწილეობით.



ლიდსის უნივერსიტეტის პროფესორი ანა-მარია რეიდი ტრეინინგზე თსსუ-ის აკადემიური განვითარების ცენტრში

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** გარდა, პროექტში მონაწილეობენ: **ლიდსის უნივერსიტეტი** (დიდი ბრიტანეთი), **უტრეხტის უნივერსიტეტი** (ნიდერლანდები), **გრანადის უნივერსიტეტი** (ესპანეთი), **რომის საკრეკორის უნივერსიტეტი** (იტალია), **კიევის** და **ივანო-ფრანკოვსკის სამედიცინო უნივერსიტეტები** (უკრაინა), **ბაქოს** და **ნახიჩევანის სამედიცინო უნივერსიტეტები** (აზერბაიჯანი).

პროექტის კოორდინატორია ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტი, ლიდსის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ტრუდი რობერტსი**.

ტემპუსის პროექტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელდა ღონისძიებები:

• შემუშავებულია სამოქმედო გეგმა „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომამდელი სამედიცინო კურიკულუმის ცვლილებების საჭიროების ანალიზი“;

• გაკეთებულია ვრცელი მიმოხილვა – „საქართველოს ჯანდაცვის სისტემა”;

• თსსუ-ის შვიდმა პროფესორმა (პროფესორები: **გ. სიმონია, მ. ოკუჯავა, ნ. ოკუჯავა, ი. ანდრონიკაშვილი, დ. თოფურია, პ. მაჭავარიანი, ზ. კირტავა**) გაიარა ტრეინინგი უტრეხტის საუნივერსიტეტო მედიცინის ცენტრში შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნების მეთოდოლოგიის შესასწავლად (ნიდერლანდები, 2012 წლის მარტი)

• ჩატარდა თსსუ-ის ოთხი პროფესორის (**რ. ბერიაშვილი, გ. სიმონია, ზ. ბოხუა, ი. კვაჭაძე**) ტრეინინგი ლიდსის უნივერსიტეტში აკადემიური განვითარების ცენტრის შექმნის მეთოდოლოგიის ასათვისებლად (დიდი ბრიტანეთი, 2012 წლის აპრილი)



ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე OSCE-ის გამოცდაზე სტომატოლოგიაში ლიდსის უნივერსიტეტში.

• თსსუ-ის ხუთმა პროფესორმა (**ი. კვაჭაძე, ი. ფანცულაია, მ. ოკუჯავა, თ. ჩიქოვანი, გ. სიმონია**) გაიარა ტრენინგი კვლევის მეთოდოლოგიაში გრანადის უნივერსიტეტში (ესპანეთი, 2012 წლის ივნისი)

• 2013 წლის აპრილში ლიდსის უნივერსიტეტში ჩატარდა ტრენინგი სტომტოლოგიაში OSCE-ის ჩატარების მეთოდოლოგიაში, რომელშიც მონაწილეობდა ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი მარინა მამალაძე;

• ჩატარდა ტრეინინგი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სწავლების მოდერნიზაციის მეთოდოლოგიაზე რომის საკრე-კორის უნივერსიტეტში თსსუ-ის ოთხი პროფესორის (**ზ. ვადაჭკორია, რ. ბერიაშვილი, ლ. ბარამიძე, გ. სიმონია**) მონაწილეობით (იტალია, 2013 წლის ივნისი)

• 2012 წლის ოქტომბერში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაიხსნა აკადემიური განვითარების ცენტრი, რომლის ბაზაზე ფუნქციონირებს და ცენტრის მუშაობას უზრუნველყოფს სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი. დღემდე ცენტრში ჩატარებულია 9 ტრეინინგი აკადემიური პერსონალისთვის, მათ შორის 2012 წლის დეკემბერში სამედიცინო განათლების აქტუალურ საკითხებზე ლიდსის უნივერსიტეტის პროფესორებმა ჩაატარეს სემინარი და ორი ვორქშოპი.

• 2012 წლის იანვრიდან თსსუ-ის პროპედევტიკის დეპარტამენტში შემოღებულია შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნების სასწავლო კურსი, რომელმაც სტუდენტების დიდი მოწონება დაიმსახურა.

პროექტის მიმდინარეობა პოზიტიურად შეაფასა ევროკომისიის წარმომადგენელმა, ბატონმა **კლაუს ჰაუპტმა** ოფიციალურ წერილში, რომელიც მან, 2013 წლის მაისში, გაუგზავნა პროექტის კოორდინატორს, ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტს, პროფესორ **ტრუდი რობერტსს**. წერილში აღნიშნულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიდი წვლილის შესახებ პროექტის წარმატებით განხორციელების პროცესში, სახელდობრ, აკადემიური განვითარების ცენტრის შექმნა, რომელიც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის და ტემპუსის პროექტის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია.

# წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზე – ფაქტები....

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი საგარეო ურთიერთობებში მდიდარი და მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურაა.

უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფართო ქსელს საფუძველი ინსტიტუტის დაარსებისთანავე ჩაეყარა. საერთაშორისო ურთიერთობები განსაკუთრებით გააქტიურდა 1996 წელს, მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვანი პროგრამის გახსნის შემდგომ. საგანმანათლებლო და კვლევით სფეროებში შთამბეჭდავი მიღწევების მიუხედავად, საერთაშორისო ურთიერთობების მუდმივი გაფართოება კვლავ რჩება თსსუ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტად.

ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინგლისურენოვან ფაკულტეტებზე მსოფლიოს 40 ქვეყნის 1700-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

თსსუ-ის დადებული აქვს ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებები მსოფლიოს 30 ქვეყნის 80 წამყვან უნივერსიტეტთან, საუნივერსიტეტო კლინიკასა და კვლევით დაწესებულებასთან, რომელთა ბაზაზეც წარმატებით ხორციელდება სტუდენტების, რეზიდენტების, ექიმების და პედაგოგების გაცვლითი პროგრამები, ასევე, თანამშრომლობა სხვადასხვა ევროპული პროექტის ფარგლებში (**TEMPUS, ERASMUS MUNDUS** და ა.შ).

საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობისა და გამარჯვების კუთხით, 2013 წელი წარმატებული აღმოჩნდა თსსუ-ის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის, კერძოდ, **ERASMUS MUNDUS** პროგრამა **ALRAKIS II**- ში გაიმარჯვა თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ოთხმა სტუდენტმა, რომლებიც გაივლიან 6 თვიდან 1 წლამდე სასწავლო კურსს ესპანეთის ქ. სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტში. ამავდროულად, გამომჟღავნდა YOK-ის მიერ დაფინანსებულ პროგრამა **„მევლანა“-ში** მონაწილე და გამარჯვებული 15 სტუდენტი და რეზიდენტი, რომლებიც სასწავლო კურსს გაივლიან თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში – ერზრუმის (თურქეთი) საზაფხულო სკოლა – „**Bridging Culturs VII**”-ში, 1-დან 12 ივლისამდე, ათათურქის უნივერსიტეტის მოწვევით, გაემგზავრა 4 სტუდენტი; ასევე, ქ. ტერნოპოლში (უკრაინა) მე-8 საერთაშორისო საზაფხულო სკოლისთვის 19-30 ივლისამდე შეირჩა 3 სტუდენტი; თურქეთის ქალაქ რიზეში, ერდოგანის უნივერსიტეტში, 27ივლისიდან 27 აგვისტომდე, საზაფხულო სტაჟირებას გაივლის 15 სტუდენტი, ხოლო ქალაქ სამსუნში – ონდოკუს მაის უნივერსიტეტში, 28 ივლისიდან 24 აგვისტოს ჩათვლით, სტაჟირებაზე გაემგზავრებიან, როგორც უცხოელი, ისე ქართველი სტუდენტები და რეზიდენტები (სულ 54); ასევე, პოლონეთის ქალაქ პოზნანში ზაფხულის სტაჟირებას გაივლის მედიცინის ფაკულტეტის 4, ბულგარეთის ქალაქ პლევენში – მედიცინის ფაკულტეტის 9, ქ. ერევანში (სომხეთი) – სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის ფაკულტეტების 32 სტუდენტი; ქ. უტრეხტში, ორკვირიანი აქტიური კურსის გასავლელად პათანატომიურ დეპარტამენტში გაემგზავრება მედიცინის ფაკულტეტის 5, საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში – 2, ბელგიაში – 1, ისრაელში, ბენგურიონის უნივერსიტეტში – 2 სტუდენტი და 1 რეზიდენტი (მეან–გინეკოლოგი); ხარკოვის (უკრაინა) დიპლომისშემდგომ აკადემიაში – 40 და გერმანიაში – 9 სტუდენტი.





თსსუ-ის სტუდენტები სტაჟირებაზე უცხოეთის კლინიკებში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კარი ღიაა არა მარტო უცხოელი სტუდენტებისთვის, არამედ საერთაშორისო დონის მკვლევრების, ექიმებისა და პედაგოგებისთვის. **2012 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული პროგრამის ფარგლებში, თსსუ-ს 200-მდე გამორჩეული უცხოელი პროფესორი ეწვია სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის ლექციების წაკითხვის მიზნით**. ლექციებთან ერთად, პროფესორებმა ჩაატარეს კონსულტაციები და საქველმოქმედო ოპერაციები. პროექტმა დიდი მოწონება და ინტერესი გამოიწვია, როგორც სტუდენტების, ისე – აკადემიური პერსონალის მხრიდან. ყოველივე ეს, თანამედროვე დონის საგანმანათლებლო-კვლევით ინფრასტუქტურის განვითარებასთან ერთად, კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის თსსუ-ს და ხელს უწყობს უნივერსიტეტეტის ინტერნალიზაციას.

საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი, აგრეთვე, მონაწილეობს იმ ოფიციალურ შეხვედრებში, რომელიც იმართება უნივერსიტეტში, ორგანიზებას უკეთებს თსსუ-ის ადმინისტრაციის სამუშაო ვიზიტებს უცხოეთში. დეპარტამენტის მდიდარი და მრავალფეროვანი გამოცდილება მომავალშიც არაერთ წარმატებას მოუტანს ჩვენს უნივერსიტეტს.






უცხოელი პროფესორები თსსუ-ში

## თსსუ-ის გამარჯვება „ერაზმუს მუნდუსის” კონკურსში

2013 წლის ზაფხულში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მიაღწია უდიდეს წარმატებას ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამა „ერაზმუს მუნდუსის” (ERASMUS MUNDUS) ფარგლებში გამართულ პრესტიჟულ კონკურსში, კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ დაფინანსდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ცნობილი უნივერსიტეტებისგან შექმნილი კონსორციუმი – „MEDEA“ (Medical Universities Alliance). კონსორციუმში გაერთიანებულია 15 ქვეყნის სამედიცინო პროფილის მქონე 20 უნივერსიტეტი. თბილისის სახელმწიფო სამდიცინო უნივერსიტეტი არის პროექტ „MEDEA-ს“ ინიციატორი და რეგიონული კოორდინატორი.

Erasmus Mundus-ის კონკურსების ისტორიაში ეს არის უპრეცენდენტო შემთხვევა, როცა თემატურს, მხოლოდ სამედიცინო პროფილის კონსორციუმს, მიენიჭა ევროკავშირის სამ მილიონ ევროზე მეტი დაფინანსება.

ამ პროგრამის ფარგლებში სრულად ფინანსდება მობილობა (ერთი ან მეტი სემესტრის გატარება) ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების, პოსტ-დოქტორებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის, ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის მოკლევადიანი მობილობა პროექტში ჩართულ ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კონკურსი გამოცხადდება 2013 წლის შემოდგომაზე, მობილობის პროგრამების განხორცილება დაიწყება 2014 წლის შემოდგომიდან და გაგრძელდება სამი სასწავლო წლის მანძილზე.

ჩვენი უნივერსიტეტის ამ დიდ წარმატებას უკვე გამოეხმაურნენ პარტნიორი უნივერსიტეტები და ორგანიზაციები, ასევე, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.

*კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში*

# სიმულატორები უსაფრთხო პრაქტიკისთვის

2004 წლის 24 აპრილიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციობს კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია, შემდგომში – კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი.



თსსუ-ის ხელმძღვანელობით და ძალისხმევით კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი აღიჭურვა სიმულატორების მწარმოებელი მსოფლიო ლიდერი კომპანიების: „Laerdal", „Gaumard", „3B Scientific", „Kyoto Kagaku", და „Nasco Life/Form"-ის სიმულატორებით და მულაჟებით. ასევე, ცენტრში განთავსებულია ამერიკული მოწინავე ტექნოლოგიური ფირმის, „Anatomage"-ის, მიერ წარმოებული მაგიდა, დაფარული მგრძნობიარე ეკრანით, რომელზეც შესაძლებელია პაციენტების კლინიკური შემთხვევების რადიოლოგიური გამოკვლევების მონაცემების და რეალური ზომის ვირტუალური გვამის ანატომიური დეტალების განხილვა.

2012-2013 სასწავლო წლიდან კლინიკური უნარ-ჩვევები ჩართულია თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ძირითად სასწავლო კურიკულუმში. კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლება გადანაწილებულია მედიცინის ფაკულტეტის – II, IV და VI კურსებზე, დაწყებული ელემენტარული საექთნო მანიპულაციებიდან, დამთავრებული გადაუდებელი რეანიმაციული პაციენტების სრული სამედიცინო შემთხვევების მართვამდე. კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში ფარმაციის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებს პრაქტიკული მეცადინეობები უტარდებათ პირველად სამედიცინო



დახმარებასა და პაციენტის მოვლაში, ხოლო მედდების პროფესიული მოსამზადებელი პროგრამის II-III კურსის ზოგადი პროფილის მედდებს და ბებიაქალებს – ძირითად საექთნო და საბებიო უნარ-ჩვევებში.

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში გამოცდები მიმდინარეობს OSCE-ის (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) ტიპით. გამოცდის სირთულე დამოკიდებულია შესაბამის კურიკულუმზე. გამოცდა ტარდება რამდენიმე ე.წ. სადგურში, სადაც როტაციული სისტემით სტუდენტები აჩვენებენ თავიანთ შესაძლებლობებს სამედიცინო უნარ-ჩვევებში (II კურსი – ავადმყოფის მოვლის 3 სადგური; IV კურსი – 3 სადგური: რეანიმაცია, ქირურგია, ავადმყოფის მოვლა; VI კურსი – 7 სადგური: გინეკოლოგია, ნეონატოლოგია, ოფთალმოლოგია, ოტოლოგია, ქირურგია, გულ-ფილტვის აუსკულტაცია, რეანიმაცია).

კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის ადმინისტრაცია აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ქართულ და საერთაშორისო პროგრამაში, აწყობს სამუშაო შეხვედრებს, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს. ცენტრის ბაზაზე, ასევე, განხორციელდა საქართველოს მასშტაბით, დაახლოებით, 1500 ექთნის OSCE გამოცდა.

**თსსუ-ის სტუდენტებს, რეზიდენტებს საშუალება აქვთ საქართველოდან გაუსვლელად დაეუფლონ ძირითად სამედიცინო უნარ-ჩვევებს, რაც ჩამოყალიბებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებში ჩამოთვლილ კომპეტენციებში. ეს არის უნიკალური შანსი საქართველოსა და მისი პარტნიორი ქვეყნებისთვის.**

# თანამედროვე კლინიკები – ცოდნის მიღების დიდი შესაძლებლობა

მათ შორის, ვინც სტუდენტებისა და რეზიდენტების, ახალგაზრდა სპეციალისტების, პროფესიული დაოსტატებისთვის ზრუნავს, ერთ-ერთი თბილისის




სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **კლინიკებთან ურთიერთობის სამსახურია,** რომლის ძირითადი დანიშნულება თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ კლინიკებში სტუდენტთა პრაქტიკული ცოდნის მიღებისთვის ზრუნვაა, თუმცა, ამ სამსახურის საქმიანობის სპექტრი მეტად ფართო და მრავლისმომცველია. რადგან, ადგილობრივი კლინიკების პარალელურად, იგი ინტესიურად ამყარებს კონტაქტებს უცხოეთის სამედიცინო ორგანიზაციებსა თუ დაწესებულებებთან;

გასულ წელს, უნივერსიტეტის უფროსკურსელებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სწავლის პერიოდში გაევლოთ **ამერიკის გულის ასოციაციის და ქირურგთა კოლეჯის მიერ სერტიფიცირებული პროგრამები**, რომლებიც აპრობირებული და დანერგილია მსოფლიოს 45-ზე მეტ ქვეყანაში; ამავე წლის მარტში, სასწავლო პროცესის პარალელურად, ტრენინგები ჩატარდა **საგანგებო სიტუაციებზე სამედიცინო რეაგირების და მართვის სასწავლო ცენტრში**. აღნიშნული პროგრამების ათვისების შემდეგ მსურველებმა მიიღეს **საერთაშორისო დონის პროვაიდერის სერტიფიკატები.**

კლინიკებთან ურთიერთობის სამსახური, კომპენტენციის ფარგლებში, ხელს უწყობს კავშირის გაღრმავებას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და უცხოეთის უნივერსიტეტების სტუდენტებს შორის. გასულ წელს თურქეთის ქ. არდაგანის უნივერსიტეტის რ ე ქ ტ ო რ თ ა ნ შეხვედრისას, რომელიც,



ამავე დროს, კავკასიის საუნივერსიტეტო საბჭოს თავმჯდომარეა, გამოიკვეთა ჩვენი უნივერსიტეტის გაწევრიანების შესაძლებლობა კავკასიის საუნივერსიტეტო საბჭოში, ამასთანავე, თსსუ-ის სტუდენტთა და რეზიდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის საკითხი, უფრო ახლო კონტაქტების დამყარების პერსპექტივა თურქეთის უნივერსიტეტებთან. ნაყოფიერი შეხვედრა გაიმართა თურქეთის ქ. არზრუმში ათათურქის უნივერსიტეტის პრეზიდენტთან და პროფესორებთან, სადაც განიხილეს ჩვენს უნივერსიტეტში ათათურქის უნივერსიტეტის პროფესორთა მომავალი ვიზიტებისა და ურთიერთთანამშრომლობის საკითხები.



მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია **ჩვენი ქვეყნის მასშტაბით მოქმედ მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ 150-მდე კლინიკასთან**, კლინიკური ბაზების საკითხი ჩვენი უნივერსიტეტისთვის კვლავ პრობლემად რჩება, რის მოსაგვარებლადაც თსსუ ძალისხმევას არ იშურებს.

სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური სამსახურის ერთ-ერთი მიმართულება აკადემიური პერსონალის კლინიკური საქმიანობის ხარისხის ამაღლება და დეპარტამენტების მიერ სასწავლო პროცესის თანამედროვე დონეზე განხორციელების ხელშეწყობაცაა, რომლის გარეშეც ვერ მომზადდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო კადრი.

ჩვენს უნივერსიტეტში კლინიკური სწავლება, ძირითადად, მიმდინარეობს დედაქალაქში განლაგებულ სამედიცინო დაწესებულებების ბაზაზე. რიგ შემთხვევაში, ერთი და იგივე დეპარტამენტი განთავსებულია რამდენიმე კლინიკურ ბაზაზე. მონიტორინგის ჩატარების ოპტიმიზაციის მიზნით შედგენილია კლინიკური დეპარტამენტების დისლოკაციის სქემა ყველა აუცილებელი პარამეტრის (მისამართი, ტელეფონი და ა. შ.) მიხედვით. ასევე, მონაწილეობა მივიღეთ თითქმის ყველა კლინიკური დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მუშაობის და სტუდენტთა დასწრების მონიტორინგის პროცესში.

# Tbilisi State Medical University Press

Annex to the "Medical Newspaper"

**The Special Edition** | **September 2013** | **www.tsmu.edu**

**ADMINISTRATION OF TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY, ACADEMIC AND REPRESENTATIVE COUNCILS AND ALL ACADEMIC PERSONNEL CONGRATULATES YOU ON THE OCCASION OF THE START OF THE NEW ACADEMIC YEAR!**

# Dear students and colleagues!



As it is known a new academic year takes on great significance, met with sublime glorious, especially for first year students and that's why I would like to extend a special welcome to them and wish great success on their way leading to the professional development and bright future that your Alma-Mater - to be proud of you. Thanks for choosing our University.

Here, relying on the richest traditions and strong foundation you will get you'll get the knowledge that will guarantee your success in the professional activities and progress in your future career.

This is beginning of a new life, and that's why I want to extend a special welcome on behalf of Tbilisi State Medical University wishing success in your future arena.

I congratulate the University academic staff on the start of new academic year, the daily work and devotion of whom always served as a strong foundation for high rating of the University and its constant progress and I am confident they will continue favorite job – education of future staff, development of medical thinking and sciences, patient care and successful clinical activities - with usual commitment and sense of responsibility.

I congratulate our international students, the number of which in current academic year will exceed 1700, on the start of the new academic year.

An important dynamics we observe – during the last 4 years a number of international students at Tbilisi State Medical University increased seven times as much, geographic area of our students expanded - nowadays, the citizens of about 40 countries worldwide are studying at TSMU. I am confident and do hope that they will enjoy responsive attitude and high quality teaching at Tbilisi State Medical University.

I congratulate our partners, strong supporters and numerous alumni contributing to the progress and development of Tbilisi State Medical University on the occasion of the start of the new academic year and should emphasize that the success of our university might be considered as their success as well.

Together we can manage to strengthen traditions of the university to educate the competitive, highly qualified doctors, nurses, pharmacists, and health care organizers; to protect civil, professional and moral principles, to maintain the high reputation of doctors and teachers to serve people's health and country in general. I am sure that intellect, hard work and especially, love towards our university and profession will help us to overcome all the challenges step-by-step.

Students, academic staff and the administration of Tbilisi State Medical University will do their best for future victories of our native University and progress of our country in general.

**Professor**
**ZURAB VADACHKORIA,**
**Rector of Tbilisi State Medical University**

# AMERICAN MD PROGRAM AT TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY FROM THE NEW ACADEMIC YEAR

This program gives the graduates opportunity to work as a doctor over 80 countries around the world.

Modern World requires high standards in any sphere, and this regards to Medicine as well. Moreover, the society is strict particularly with doctors. Success can not be achieved without profes-sionalism and com-petence, and these are the prerequi-sites for a high-quality education.

Tbilisi State Medical University (TSMU) is one of the most prestigious medical schools in the Caucasus. It offers students lots of interesting and important innovations, and in this case, the news deserves the greatest attention.

From September 2013, TSMU starts American MD Program, a joint project which has been developed and implemented with the cooperation of the Emory University School of Medicine (ESOM) and the Tbilisi State Medical University (TSMU).

The program is created in a way, that students pass the two steps of the United States Medical Licensing Examination (USMLE) during the educational process. It should be noted, that the graduates of TSMU have always had the opportunity to take International Licensing examinations, for what, they required extra time to prepare for the specific exams . With the new program praparation for the USMLE steps is inseparable part of the study process, that saves up time, energy and expenses.

The goal of the program is to bring up higly competitive and qualified physicians on International scale, who are ready for postgraduate education and the specific training courses both in Georgia and abroad. During the study process basic and clinical disciplines are fully integrated,which gives a student possibility to get involved in clinical activity and at the same time do scientific research. It is also note-worthy, that the students will have chance to do their research and some part of the clinical clerkships at Emory University.

Upon the successful completion of the course, students will be awarded the MD degree.

Students actively involved in scientific research will have possibility to get the degree of Master of Medical Sciences together with the M.D. degree.

Duration of the study course is 6 (six) years. Georgian citizens should apply through the National Exams.

# BACHELOR'S PROGRAM

**The bachelor program of Public Health and Management**

**Award qualification** - The bachelor of Public Health and Management.

**The amount of the program** – 280 ECTS credits (one credit is equals 30 hours). The duration of the program is 4 years (8 semesters, 35 credits – in one semester). Tuition Fee is 4 000 GEL for Georgian citizens and 4 000 USD - for overseas.

**Study Language** – English and Russian.






**The aim of the educational program** – is the preparation of qualified specialists who will be able to conduct professional activities in the health care system and to perform the appropriate functions of public health specialist in the field of preventive medicine.

The bases of the educational program of public health and management is the agreement between TSSU and The academy of management – "UNIMAN", which are the authorized higher education institutions according to Georgian and French legislation. Therefore they are responsible for undertaking educational activities to develop educational programs and realize scientific-research activities.

The academic degree will be awarded by Georgian and French diplomas recognized by relevant states (Bachelor academic degree). After completing the educational program graduates will have two types of diplomas: Georgian – recognized by Georgian Government on the basics of legislation. And a French diploma – recognized by the French Government on the basics of their legislation. The Diplomas will give students a sensitive awareness of identifying their self-realization in France as well.



# PARTICIPATION OF TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY IN TEMPUS FUNDED PROJECT MUMEENA “MODERNIZING UNDERGRADUATE MEDICAL EDUCATION IN EU EASTERN NEIGHBORING AREA”

Since 2011 Tbilisi State Medical University (TSMU) participates in TEMPUS funded three year project “*Modernizing undergraduate medical education in EU Eastern Neighboring area*”. Project implementation group at our university is represented by Professor Gaiane Simonia (local coordinator), TSMU Rector, Professor Zurab Vadachkoria, Deputy Rector, Professor Rima Beriashvili, Associated Professors Maia Okujava and Ia Pantsulaia.





The project was elaborated by TSMU Department of medical education, research and strategic development; thus, all planned activities at first have to be piloted in our university and subsequent sharing of gained experience to other partner universities.

The main goal of the project is elaboration of undergraduate integrated medical curriculum based on AMEE, MEDINE and WFME standards; setting of Faculty Development Units per participating partner country, conducting trainings of academic staff at EU partner universities, organizing annual conferences on actual issues of medical education with participation of internationally recognized medical education experts.

In addition to Tbilisi State Medical University and I.Javakhishvili Tbilisi State University, participants of the project are: University of Leeds (UK), University Medical Center Utrecht (the Netherlands), University of Granada (Spain), Sacre Coure Catholic University in Rome (Italy), Kiev and Ivano-Frankovsk Medical Universities (Ukraine), Baku and Nakhichevan Medical Universities.

Coordinator of the project is the President of European Association for Medical Education, Director of the Institute of Medical Education, Professor Trudie Roberts.

Up to now the following activities envisaged by the project have been carried on at TSMU:

- Elaboration of the action plan “ Needs analysis for curriculum change at TSMU”;
- Analytical review “Health Care System in Georgia”
- Seven professors from TSMU (G.Simonia, M.Okujava, N.Okujava, I.Andronikashvili, D.Topuria, P.Machavariani and Z.Kirtava) were trained at Utrecht University Medical Center in CBCR (case-based clinical reasoning) methodology (the Netherlands, March, 2012);
- TSMU four professors (R.Beriashvili, Z.Bokhua, I.Kvachadze and G.Simonia) were trained at University of Leeds in setting Faculty Development Center (UK, April,2012);
- Five professors from TSMU (I.Kvachadze, I.Pantsulaia, M.Okujava, T.Chikovani, G.Simonia) were trained in research methodology at the University of Granada (Spain, June, 2012);
- In April 2012 TSMU Professor, Head of the Department of Odontology Marina Mamaladze participated in training “OSCE methodology in stomatology) that took place at the University of Leeds;
- In June 2013, Seminar and workshops on modernizing Public Health teaching were conducted at Rome Sacre Cuore Catholic University with participation of TSMU Rector, Professor Z.Vadachkoria, Deputy Rector, Professor R.Beriashvili, Professor L.Baramidze and Professor G.Simonia.
- In October 2012 Faculty Development Unit was set at TSMU which has been run by the Department of Medical education, Research and Strategic development. Up to now nine trainings have been conducted at the FDU, among them in December 2012 Seminar and Workshops on Medical Education were conducted by visiting professors from University of Leeds.
- Starting from January 2012, CBCR course was introduced at the Department of Physical Diagnosis which was greatly appreciated by 3rd year medical students.

The process of implementation of the project was positively evaluated by EC repreentative, Dr. Klaus Haupt in his official letter (May, 2013) sent to the Project Coordinator, Professor Trudie Roberts. In his letter he stated significant contribution of TSMU in successful implementation of the project, in particular, creation of Faculty Development Unit which was set jointly by TSMU administration and TEMPUS project.

# IN CLINICAL SKILLS CENTER - Use Simulators for your Safe Practice!

Since 24 April, 2004 Clinical Skills Laboratory, afterwards Clinical Skills Center has been functioning in Tbilisi State Medical University.

With the support of Tbilisi State Medical University Authorities Clinical Skills Center was equipped by the simulators and mulajes from world leading simulators’ companies, such as “Laerdal”, “Gaumard”, “3B Scientific”, “Kyoto Kagaku” and “Nasco *Life/Form*”. Also, USA Advance Technologic Company “Anatomage” product-touch-screen table is held in Clinical Skills Center. Different patient case examination data discussion and real size body virtual dissection are available on the “Anatomage” table.

Since 2012-2013 education year clinical skills are involved in TSMU Medical Faculty main curriculum. Clinical skills are learnt to medical faculty II, IV and VI year students starting from elementary nursing skills till critical





resuscitation patient complete case review. In clinical Skills Center Pharmacy Faculty II year students have practice in First Aid and Adult Patient and Child Care basic procedures, also Nurse Professional Program II and III year nurses and midwives get practice in basic nursing and midwifery skills.

There are OSCE (Objective Structured Clinical Examination) type exams in Clinical Skills Center, which task difficulty depends on the suitable curricula. The exam is held in different rooms, so called “Stations”, among which students rotate and show up their abilities in various medical skills (II year students - 3 stations for Adult Patient Care; IV year students - 3 stations: Resuscitation, Surgery, Adult Patient Care; VI year students - 7 stations: Gynecology, Neonatology, Ophthalmology, Otology, Surgery, Cardiopulmonary Auscultation, Resuscitation).

The Clinical Skills Center Staff actively involved in different Georgian and International programs, exchanges workshops, symposia and conferences. Also, Clinical Skills Center was the base for about 1500 nurses OSCE exam from all the regions of Georgia.

So, TSMU students/residents have unique capability to gain basic medical skills according the Medical Education Program Branch Characteristics’ Competences without leaving Georgia. This is an excellent chance for Georgia and its partner countries.

# “TSMU IS A STRONG FOUNDATION FOR OUR PROFESSIONAL DEVELOPMENT…” “THERE IS NO DEARTH OF OPPORTUNITIES HERE…”

**The editorial staff of Medical Newspaper of Tbilisi State Medical University would like to ask you couple questions, as excellent students of English Medium. Thank you so much that you found the time for us to answer these questions during the busy period of final exams.**

**- Why did you decide to study at Tbilisi State Medical University?**

**- BalaJi Vasanthasekar:** It was my lifelong dream to live in a foreign country and achieve something. TSMU was recommended by a relative and I grabbed my opportunity and got here.

**- Shyam Tantry :** With the dream of becoming a doctor, I decided to come to Tbilisi State Medical University in hopes of getting more exposure to medical knowledge, gain wide expertise in modern methods of patient treatment and management.

**- How did Georgians host you and how was the first impression about Georgian reality?**

**- BalaJi Vasanthasekar:** Most of them were very warm and welcoming. They surprisingly knew more about the India and its culture than I anticipated.

**- Shyam Tantry:** Coming to a foreign country I was initially a bit hesitant, but Georgians proved to be warm and hospitable. Even though a small country, it has it’s own cultural diversity, a variety of delicious food, a fun way of holding toasts in “supras”/dinner party, overall a once in a lifetime experience.

**- What can you tell us now about Tbilisi State Medical University, its atmosphere and about the friends you made over there?**

**- BalaJi Vasanthasekar:** TSMU has an amazingly diverse atmosphere and everybody’s friendly and willing to help.



Over the past 6 years, I’ve made an army of unforgettable friends and great memories that’ll be very hard to leave behind.

**- Shyam Tantry:** Tbilisi State Medical University, being one of the oldest and renowned universities here has its affiliations with various universities across the world. I believe that for any aspiring student, there is no dearth of opportunities here. Further, with chances of interacting with other foreign students from Trinidad, Mauritius, Turkey etc. learning becomes much more enriching. The faculty and staff are kind and cooperative.

**- What can you tell us about the studying process? What about the favorite subject from the curriculum or the favorite teacher?**

**- BalaJi Vasanthasekar:** The curriculum is designed to match the western quality of medicine and though the Department of Overseas Students Education of TSMU is still young, they’ve managed to do a great job teaching us and I can proudly say we were trained by the best. If I were to choose a favorite teacher and subject I would go with Prof. Zviad Kirtava from Internal medicine and Prof. Tinatin Chikovani, Our Dean.

**- Shyam Tantry:** Studies basically 3 years of preclinical studies, comprising of basic sciences followed by 3 years of clinical medicine, which are mostly spent attending classes in various hospitals and looking after patients. About favorite teachers I agree to my friend - I have a strong foundation in these subjects due to these outstanding teachers.

**- What kind of role do the practical seminars play in your professional career?**

**- BalaJi Vasanthasekar** : Clinical skill is an important quality for a doctor, and the practical seminars have given us the confidence and skill we require.

**- Shyam Tantry:** Over the course of 6 years, I had the chance to attend various seminars and lectures conducted by many renowned professors visiting our University. I consider them a big plus-point to my clinical education.

**- What are your future goals? Where are you going to continue your postgraduate studying? How do you think the knowledge you gained will help you to develop as a doctor in relative medical fields?**

**- BalaJi Vasanthasekar** : I plan on doing my further studies in the US and I plan on pursuing Internal Medicine. A building is only as strong as its foundation and TSMU has done a decent job in preparing me for my future and given me the base I need to become a successful doctor.

**- Shyam Tantry:** I plan to pursue a residency in Internal Medicine in United States, and a then later a fellowship in Cardiology. In my final year, thanks to TSMU administration and Dr. Kenneth Walker, I got this wonderful opportunity to do 2 months of clinical clerkship in one of the top-notch institutions in America - Emory University. It was an amazing experience which helped greatly to enhance my clinical skills and learn the most recent advancements in medicine. Therefore, I am glad to hear about the US-MD program, giving the future prospective students a much better opportunity to pursue post graduation in the United States.

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

# გისურვებთ არჩეული პროფესიის სიყვარულს!

ძვირფასო პირველკურსელებო, ჩემო უმცროსო კოლეგებო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა უფლებას მაძლევს სასწავლო წლის დაწყება მოგილოცოთ ახალ ღირსეულ ცვლას და წარმატებები გისურვოთ საპასუხისმგებლო და კეთილშობილური პროფესიის აღსრულების გზა-სავალზე.

ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის, მიგრაციის და ინფორმაციის სწრაფად ცვალებად ეპოქაში, არ ჩამორჩეთ დროს, გახდით პროფესიონალები, რომელიც უწყვეტი განათლებით მიიღწევა. გირჩევთ გაითვალისწინოთ ექიმის მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეც – ეთიკური და დეონტოლოგიური საკითხების საფუძვლიანი ათვისება და ყოველდღიურ საქმიანობაში მისი გამოყენება.

მინდა გავიხსენო ჩემი სტუდენტობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში – ეს იყო 1941 წელი, დიდი სამამულო ომის დასაწყისი, მეტად მძიმე დრო... დღისით ვსწავლობდით, გვიან ღამემდე ვმსახურობდით თბილისის გარეუბნებში განლაგებულ სამხედრო ნაწილში შესაძლო საჰაერო დესანტის წინააღმდეგ. ზაფხულის არდადეგების დროს კავკასიის ფრონტისპირა ზურგში მყოფი მებრძოლებისთვის სამედიცინო ინსტიტუტის ლაბორატორიებში წამლებს ვამზადებდით. მთელი ძალისხმევით და თავდადებით ვმუშაობდით, გვერდით გვედგნენ პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც სამშობლოს სიყვარულის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებდნენ. ერთდროულად დასრულდა სტუდენტობა და ომი...



შემდგომი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) ფარმაცევტული ქიმიის კათედრაზე გავაგრძელე, რომელიც უკვე 70 წელს ითვლის, მას დაუღალავად ვემსახურები დღესაც.

დიდი ილია გვასწავლის: სტუდენტობის ოთხი წელი ის საფუძველია, რაზეც უნდა აიგოს მთელი შემდგომი ცხოვრება და საქმიანობა. გისურვებთ სიღრმისეულად დაეუფლოთ თქვენ მიერ არჩეულ პროფესიას, რომელიც პაციენტზეა ორიენტირებული, წინ მრავლისმომცველი და საინტერესო წლები გელით! გისურვებთ წარმატებებს!

**პროფესორი**
**ბიძინა ჭუმბურიძე**

# წარმატებით გელვაწოთ!..

სიამოვნებით მოგესალმებით, მომავალო მედიკოსებო! მივესალმები თქვენს ჭკვიანურ გადაწყვეტილებას – გახდეთ წარმატებული პიროვნებები მედიცინის დარგში, რითაც გამოთქვამთ მზადყოფნას იმ მეტად საპატიო და, ამავდროულად, საპასუხისმგებლო მისიის შესასრულებლად, რასაც მედიცინის მსახურება ჰქვია.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში – ამ დიდი ტრადიციის უმაღლეს სასწავლებელში – თქვენ დაგხვდებათ ფართო დიაპაზონის, მაღალი კვალიფიკაციის და რანგის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც დაგეხმარებათ ძირეულად დაეუფლოთ მედიცინის საფუძვლებს, რაც თქვენთვის უტყუარი გარანტიაა კარგი განათლების მისაღებად. ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები დღეს წარმატებით მოღვაწეობენ მედიცინის ამა თუ იმ სფეროში, მეცნიერებაში, ჯანდაცვის მენეჯმენტში. დარწმუნებული ვარ, თქვენც სახელოვანი მედიკოსები გახდებით და მნიშვნელოვან სიტყვას იტყვით მედიცინის განვითარებაში. თუმცა მანამდე საჭიროა შრომა, თავდაუზოგავი მეცადინეობა ახალი სიმაღლეების დასაპყრობად.

გამომდინარე ჩემი კლინიკურ-პედაგოგიური გამოცდილებიდან მინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი რჩევა მოგცეთ, რაც, ვფიქრობ, დაგეხმარებათ მომავალ საექიმო საქმიანობაში. პირველ რიგში, ეს ეხება ჯანსაღი ურთიერთობის დამყარებას ექიმსა და პაციენტს შორის, რაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ექიმის ყურადღებიან და გულისხმიერ დამოკიდებულებაზე პაციენტისადმი, დროული და ზუსტი დიაგნოზის დასმასა და შემდგომ უკვე რაციონალურ მკურნალობაზე. ექიმისთვის უმნიშვნელოვანესია სწორი კლინიკური აზროვნება, რაც სათანადო განათლების შედეგად მიიღწევა. ეს დღეს კიდევ უფრო აქტუალურია, რადგან ტექნიკური რევოლუციის შედეგად მედიცინაში უახლესი ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები დაინერგა. ამ მონაცემებს კი სწორი ინტერპრეტაცია სჭირდება, რაც მხოლოდ კლინიკური აზროვნებით არის შესაძლებელი.

პირველკურსელებს ასევე მინდა შევახსენო, რომ არ დაივიწყონ ცხოვრების ჯანსაღი წესი, რადგან მედიკოსს განსაკუთრებული ჯანმრთელობა ესაჭიროება წარმატებული საქმიანობისთვის; ამასთან, თქვენი ცხოვრების წესითაც მაგალითი უნდა იყოთ ხალხისთვის.

გისურვებთ წარმატებით გელვაწოთ მედიცინის რთულ და საპასუხისმგებლო გზაზე!

**პროფესორი**
**ვაჟა გვანცელაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,**
**თსსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი,**
**საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო აკადემიის აკადემიკოსი.**

# შეუძლებელი არაფერია!



თქვენ გადაწყვიტეთ, ცხოვრება დაუკავშიროთ ადამიანის კეთილდღეობასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვას. ეს ძალზე დიდი პასუხისმგებლობა და ტვირთია. ექიმის შეცდომის საფასური შეიძლება ადამიანის სიცოცხლე გახდეს. ამდენად, მინდა გულითადად გისურვოთ, რომ მაქსიმალურად გამოიყენოთ სტუდენტური წლები, ისწავლოთ და სრულყოფილად დაეუფლოთ თქვენს პროფესიას. გახსოვდეთ, რომ თქვენი მომავალი თქვენსავე ხელშია. თუ არ მოინდომებთ, ძალით ვერავინ ვერაფერს გასწავლით. უნივერსიტეტის წლებმა უნდა შეგიქმნათ ის მტკიცე საფუძველი, რომელიც მომავალში გარანტი იქნება თქვენი პროფესიული წინსვლისა და წარმატებისა. შრომის გარდა წარმატებას სხვა რეცეპტი არ აქვს. გახსოვდეთ, შეუძლებელი არაფერია! მომავალში ცხოვრება არაერთ შანსს მოგცემთ და გისურვებთ, რომ ეს შანსი გონივრულად გამოგეყენებინოთ!

**პროფესორი**
**ზაალ (ზაზა) კოკაია,**
**ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის ღეროვანი უჯრედების ცენტრის დირექტორი,**
**ღეროვანი უჯრედების და რეგენერაციული მედიცინის სტრატეგიული კვლევის კოორდინატორი,**
**ღეროვანი უჯრედების და აღდგენითი ნევროლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი**

# ჩემო ძვირფასო მომავალო კოლეგებო!



ამ ტრადიციული მოლოცვის წერა ასეთივე ტრადიციული შესავლით დავიწყე _ როგორი კეთილშობილი პროფესიაა ექიმობა; რამდენი დიდებული ექიმი გვყავდა საქართველოში; როგორი რთული გზა გელით წინ; გადავწვდი ჰიპოკრატეს, ჰარაცელსს, ამბრუა ზპარესსა და გალენს... მერე გამახსენდა ჩემი პირველი დღე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში _ მავანთა მაღალფარდოვანი სიტყვები და მოწოდებებით უხვადშემკული მისალმებები და... გადავწყვიტე სულ სხვანაირად მომელოცა თქვენთვის, გულწრფელად და უშუალოდ, ყოველგვარი აკადემიური რევერანსების გარეშე...

დარწმუნებული ვარ, რომ ბოლომდე არ გაქვთ გაცნობიერებული თუ რატომ აირჩიეთ ექიმის პროფესია... არც შეიძლება, რომ გქონდეთ.

ზოგს ალბათ მათემატიკა და ფიზიკა არ მოსწონს და ჰუმანიტარული საგნები ემარჯვება, ზოგს, შესაძლოა, ექიმის ანაზღაურება იზიდავს, თუმცა, ეს ნაკლებად დასაჯერებელია დღევანდელ საქართველოში; ზოგს, უბრალოდ, მშობლები ჰყავს ექიმები; ზოგს რომანტიკისთვის, ზოგს პრაგმატულობისთვის, ზოგისთვის კი ალბათ საერთოდ არ ყოფილა პირველი არჩევანი და შემთხვევით მოხვდა აქ და მერწმუნეთ, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა თქვენი ცხოვრების ამ ეტაპზე, მთავარია, რომ დღეს თქვენ ერთად მოიყარეთ თავი და ექიმის ძნელ, ხიფათიან, სარისკო, ტკივილნარევი ღიმილითა და ღიმილნარევი ტკივილით აღსავსე კარიერისკენ მიმავალ გრძელ გზას თვალი გაუსწორეთ.

რამდენი გაივლის ამ გზას ბოლომდე – არავინ იცის. ერთი კია, მხოლოდ ჯიუტები გავლენ ბოლოში, ის ჯიუტები, რომლებიც დაუზარლად დაიზეპირებენ გრძელ ლათინურ ტერმინებს ანატომიიდან; ჩაუკირკიტდებიან მიკროსკოპებს და გაარჩევენ ჰისტოლოგიურ პრეპარატებს; ბუზღუნით, მაგრამ მაინც იხეტიალებენ ბიოქიმიის ლაბირინთებში...

რა რჩევები შემიძლია მოგცეთ?.. გააცნობიერეთ რაც შეიძლება სწრაფად, რომ თქვენ ბავშვები აღარა ხართ და არასოდეს დაიჩივლოთ _ რამე არ გასწავლეს, რატომ? იმიტომ, რომ თქვენ მომავალი ექიმები ხართ, ექიმებმა კი ყველაფერი თავად უნდა ისწავლონ პედაგოგის ვალია მხოლოდ გზა გიჩვენონ, მიმართულება მოგცენ, დანარჩენი კი თქვენი გასაკეთებელია, თქვენი გასავლელია; თუ კარგად არ იცით, აუცილებლად ისწავლეთ ინგლისური. ინგლისურია დღევანდელი საერთაშორისო სამედიცინო ენა; თავად უნდა შეძლოთ სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა და უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობა; ნუ იქნებით სხვის იმედზე;

გახსოვდეთ, რომ დაუნდობელ გარემოში მოგიხდებათ პრაქტიკის გავლა და თუ მზის ქვეშ თქვენი ადგილის მოპოვება გსურთ, კარიერის დასასრულამდე კონკურენტუნარიანნი უნდა დარჩეთ.

ნუ გადააქცევთ სწავლას მოსაწყენ, გულისგამაწვრილებელ პროცესად, მიუდექით შემოქმედებითად; ყოველთვის იფიქრეთ, რაში გამოგადგებათ ნასწავლი ფორმულა თუ ტერმინი, დასვით კითხვები, მოიგონეთ სასაცილო სამახსოვროები, რომ ადვილად დაისწავლოთ საზეპირო მასალა; ხშირად გაიღიმეთ, იცინეთ;

სანამ პაციენტებზე ზრუნვას დააპირებთ, ჯერ ერთმანეთზე ზრუნვა ისწავლეთ, ისწავლეთ ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული.

ალბათ იკითხავთ: – ღირს კი ეს ყველაფერი ამდენ წვალებად?.. პასუხს კი მაშინ გაიგებთ, როდესაც თქვენ მიერ განკურნებული პირველი პაციენტი თქვენს ხელებს საკუთარში მოიქცევს, ცრემლმომდგარ თვალებს გაგისწორებთ და ღიმილიან მადლობას გეტყვით. ჰოდა, როცა სიამოვნების ჟრუანტელი დაგივლით სხეულში, სიამაყისა და სიხარულისაგან ყელში „ბურთი" მოგებჯინებათ, მაშინ ზუსტად გეცოდინებათ, ვინ ხართ და საით მიდიოდით ამდენი ხანი...

წარმატებებს გისურვებთ!

**ზურაბ გურული,**
**აშშ-ის მონტენეგროს სახელობის ფედერალური კლინიკის ანესთეზია-რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის დირექტორი,**
**მისისიპის უნივერსიტეტის კლინიკური პროფესორი**

# გილოცავთ ახალი ცხოვრების დაწყებას!

ყველა პირველკურსელს ვულოცავ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობას და ცხოვრების სრულიად ახალი, პირველი დამოუკიდებელი ეტაპის დაწყებას. ეს სწორედ ის ეტაპია, როდესაც თითოეული ჩვენგანი აკეთებს უაღრესად ჰუმანურ არჩევანს _ ინტელექტუალურად ყველაზე ნაყოფიერი წლები ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურს მიუძღვნას. ეს ის წლებია, როდესაც ანატომიის, ფიზიოლოგიის, პათოლოგიის და კლინიკური მედიცინის სირთულეებში გარკვევისას საკუთარ თავს პოულობ და სიამაყით აცნობიერებ ჩვენი პროფესიის მიერ დასმულ „წარუშლელ დაღს." ამ დროს ყოველი წინ არგადადგმული ნაბიჯი უკან გადადგმული ნაბიჯია და ყოველი გაუტეხავი ღამე ჩვენი პაციენტების მშფოთვარე ძილის შესაძლო წინაპირობაა. სიტყვებით რთულია იმ პროფესიული, მაგრამ ემოციური გამოცდილების აღწერა, რომელიც სწორი დიაგნოზის, ეფექტური მკურნალობისა და სხვა მრავალი სამედიცინო სირთულის დაძლევის დროს ჩნდება. ეს თქვენი მომავალიცაა...



თანამედროვე ექიმებს უაღრესად საინტერესო, მაგრამ სირთულეებით სავსე საუკუნეში გვიხდება ცხოვრება. მედიცინა საოცარი ნაბიჯებით მიიწევს წინ და საკუთარ თავზე დაუღალავი მუშაობის გარეშე, ფეხის აყოლა, მით უფრო, წარმატება და ლიდერობა, წარმოუდგენელია. მოლეკულური ბიოლოგიის, გენეტიკის და პათოლოგიის მიღწევების ფონზე დაავადებათა სკრინინგი, დიაგნოსტიკა, ოპტიმალური მენეჯმენტი და პროგნოზირება მუდმივ განახლებას განიცდის და ადეკვატური ცოდნით აღჭურვილ, კომპეტენტურ სამედიცინო პერსონალს საჭიროებს. დოჩანაშვილს თუ დავესესხებით – ბედნიერი ადამიანები ხართ, წინ ისეთი ბედნიერება გელით... პირველად წაკითხვის ბედნიერება.

გილოცავთ სტუდენტობის პირველი წლის და ცხოვრების ახალი, წარმატებული გზის დაწყებას!

**გულისა ტურაშვილი,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,**
**პათოლოგიისა და მოლეკულური მედიცინის დეპარტამენტი,**
**ქვინსის უნივერსიტეტი,**
**კინგსტონი, ონტარიო, კანადა**

# სამეცნიერო საქმიანობის დღევანდელობა

სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახური პასუხისმგებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებული სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციაზე, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საქმიანობაზე, აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლასთან და სხვა სტრუქტურულ დანაყოფთან.

**ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხორციელდება სულ 115 სადოქტორო კვლევის პროგრამა, მათგან 81 – მედიცინის, 11 – სტომატოლოგიის, 9 – საზოგადოებრივი ჯანდაცვის და 7-7 – ფარმაციისა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე.**

მიმდინარე წელს დისერტაცია დაიცვა შვიდმა დოქტორანტმა, რომელთაგან ექვსს მიენიჭა მედიცინის, ხოლო ერთს – სტომატოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

თსსუ-ში მოქმედებს ათი სამაგისტრო პროგრამა. მათგან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტზე: საზოგადოებრივი ჯანდაცვა** (ხელმძღვანელი პროფესორი მ. ჯიბუტი), **ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი** (ხელმძღვანელი, პროფესორი ო. გერზმავა), **ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა** (ხელმძღვანელები – პროფესორები: ი. მჭედლიშვილი, რ. კვერენჩხილაძე); **ფარმაციის ფაკულტეტზე: ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია** (ხელმძღვანელები – პროფესორები: ა. ბაკურიძე, ა. კაციტაძე), **ფარმაცევტული ანალიზი** (ხელმძღვანელი, პროფესორი ბ. ჭუმბურიძე), **ფარმაციის მენეჯმენტი** (ხელმძღვანელი, პროფესორი ვ. ერიაშვილი), **სამრეწველო ფარმაცია** (ხელმძღვანელები – პროფესორი ა. ბაკურიძე, გ. ანთაძე – შპს „ჯი-ემ-პი"-ს გენერალური დირექტორი); **ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე: პედიატრიული რეაბილიტაცია** (ხელმძღვანელები _ პროფესორები: ზ. სოფრომაძე, ი.მანჯავიძე), **რეაბილიტაციაში მრჩეველი** (ხელმძღვანელი, პროფესორი ი. ზარნაძე), **ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება** (ხელმძღვანელი, პროფესორი ი. ზარნაძე).

**2012–2013 სასწავლო წელს თსსუ-ის მაგისტრატურაში ჩაირიცხა 127 მაგისტრანტი**, რომლებიც პროგრამების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდნენ: „ჯანდაცვის ადმინისტრირება და მენეჯმენტი" – 30, „საზოგადოებრივი ჯანდაცვა" – 30, „ეპიდემიოლოგია და გარემოს მედიცინა" – 9, „ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება" – 8, „ფარმაციის მენეჯმენტი" – 19, „სამრეწველო ფარმაცია" – 10, „ფარმაცევტული ანალიზი" – 12, „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია" – 4, „პედიატრიული რეაბილიტაცია" – 4, „რეაბილიტაციაში მრჩეველი" – 1.

# მხოლოდ ციფრებით და ფოტოობიექტივით...

სტუდენტური თვითმმართველობა ახალი 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებას ულოცავს სტუდენტებს, განსაკუთრებით – პირველკურსელებს, რომლებიც სტუდენტური თვითმმართველობის ინციატივით მრავალი საინტერესო პროექტის თუ ღონისძიების მონაწილენი გახდებიან როგორც ჩვენს უნივერსიტეტში, ისე – მის ფარგლებს გარეთ.

მაშ ასე, თავად დარწმუნდით:

2012-2013 სასწავლო წელს თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ძალისხმევითა და ხელშეწყობით 138 ღონისძიება ჩატარდა, აქედან 37 – საგანმანათლებლო, 29 – კულტურული, 20 – სპორტული, 31 – ტურისტული, 15 – სოციალური და 6 – ინტელექტუალური.

ზემოაღნიშნული ციფრებიც და წარმოდგენილი ფოტოებიც მრავლისმეტყველია. ასე რომ, სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით და ორგანიზებით ჩვენს უნივერსიტეტში მრავალფეროვანი და საინტერესო სტუდენტური ცხოვრება გელით...









## ხელოვნება და სპორტი

# სტუდენტური ცხოვრების თანამდევი

**სპორტული და შემოქმედებითი საქმიანობა** ავსებს და ალამაზებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებას, მასში წარმატებებით გამორჩეული მომავალი ექიმები და ფარმაცევტები აქტიურად არიან ჩართულნი.

დიდია ამ წარმატებაში თსსუ-ის **სპორტის და ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელობის** წვლილი, მათ პედაგოგებთან, მწვრთნელებთან, ქორეოგრაფებთან, მუსიკოსებთან, თეატრის რეჟისორთან და დიდ სტუდენტურ კოლექტივთან ერთად, შეძლეს და სათანადო სიმაღლეზე აიყვანეს ახალგაზრდული სპორტი და შემოქმედება ჩვენს უნივერსიტეტში.











კლასიკური მუსიკის საღამოები, დრამატულ თეატრ – „ჰიგიას" – საინტერესო სპექტაკლები, საქველმოქმედო კონცერტები სხვადასხვა, მათ შორის, აუტიზმით და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთათვის, უცხოელ სტუდენტთა, ასევე, „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის" გამოსვლები, ხალხური და თანამედროვე სიმღერის თუ „ხელოვანი ექიმების" ეგიდით გამართული კონცერტები, ქორეოგრაფიული ანსამბლის ყოველწლიური წარმატებული გამოსვლები შინ და ტურნეები უცხოეთის ქვეყნებში – ეს ის „დიდი თაიგულია," რომელიც სტუდენტების, მათი უფროსი მეგობრების დაუღალავი შრომისა და თავგამოდების ფასად ეძლვნება მათი შემოქმედების დამფასებელ მაყურებელს.

გამარჯვებებისკენ მუდმივი სწრაფვის მკაფიო და თვალსაჩინო დასტურია, ასევე, ჩვენი უნივერსიტეტის ქართველი და უცხოელი სტუდენტების სპორტულ გამარჯვებათა გრძელი ნუსხა: – **ფეხბურთი და მინი-ფეხბურთი, კალათბურთი და ფუტსალი, ფრენბურთი** და **ქვიშის ფრენბურთი, სამბო და მძლეოსნობა**, **ჩოგბურთი და მაგიდის ჩოგბურთი, გიგანტური სლალომი, მკლავჭიდი, ცურვა, მშვილდოსნობა** – სპორტის ის სახეობებია, რომელშიც ჩვენი სტუდენტები დიდი რაოდენობის ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით ამდიდრებენ სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტულ მიღწევათა ყულაბას.

სამედიცინო უნივერსიტეტის დღევანდელ პირველკურსელებს შეუძლიათ შემოქმედებითი ნიჭი, უნარი და სპორტული მონაცემები განავითარონ სპორტულ სექციებსა და კლუბებში, ჩაერთონ მრავალფეროვან შემოქმედებით ცხოვრებაში, სადაც მათ საუკეთესო ატმოსფერო და ნამდვილი პროფესიონალები ელიან.

## უცხოელი კურსდამთავრებულები

# „თსსუ ჩვენი პროფესიული დახელოვნების საძირკველია..."

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის* ***„სამედიცინო გაზეთმა"*** *რამდენიმე შეკითხვით მიმართა უცხოენოვანი ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტებს. მადლობას ვუხდით მათ, რომ დაძაბული სასწავლო პროცესის ბოლოს გამონახეს დრო ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე შეკითხვაზე პასუხის გასაცემად.*





**– რატომ გადაწყვიტეთ სწავლის გაგრძელება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში?**

**– ბალაჯი ვასანთასეკარი:** ჩემი ოცნება იყო მეცხოვრა უცხო ქვეყანაში და მიმეღწია წარმატებისთვის. ნათესავმა გამიწია რეკომენდაცია, ვისარგებლე შემთხვევით და აქ აღმოვჩნდი.

**– შამ ტანტრი:** ჩემი ოცნების განსახორციელებლად – გავმხდარიყავი ექიმი, გადავწყვიტე, ჩამოვსულიყავი თბილისში და სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიმეღო სამედიცინო განათლება, ასევე, შემეძინა ფართო გამოცდილება პაციენტთა მკურნალობისა და მართვის თანამედროვე მეთოდების შესწავლის თვალსაზრისით.

**– როგორ დაგხვდნენ მასპინძლები და როგორი იყო თქვენი პირველი შეხება ქართულ სინამდვილესთან?**

**– ბალაჯი ვასანთასეკარი:** ძალიან თბილად და სტუმართმოყვარედ შემხვდნენ. ჩემდა გასაკვირად, მათ ძალიან ბევრი იცოდნენ ინდოეთსა და მის კულტურაზე.

**– შამ ტანტრი:** თავდაპირველად ვყოყმანობდი უცხო ქვეყანაში ჩამოსვლის გამო, მაგრამ ქართველები ძალიან თბილი და სტუმართმოყვარე ხალხი აღმოჩნდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, მას აქვს მრავალფეროვანი კულტურა, სამზარეულო, ქართულ სუფრასთან სადღეგრძელოების წარმოთქმის თავისებური ტრადიცია და მანერა, რამაც ძალიან ბევრი შემძინა.

**– რას გვეტყოდით ამჟამად თქვენს მშობლიურ უნივერსიტეტზე – გვაინტერესებს თქვენი აზრი აქ შექმნილ ატმოსფეროზე, ქართველ მეგობრებზე...**

**– ბალაჯი ვასანთასეკარი:** აქ საოცრად მრავალფეროვანი ატმოსფეროა. ყველა მეგობრულია და მზად არის დახმარების ხელი გამოგვიწოდოს. 6 წელზე მეტმა განვლო და შევიძინე მეგობრების მთელი არმია. დამრჩა საოცარი მოგონებები. მათი დატოვება ძალიან გამიჭირდება.

**– შამ ტანტრი:** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ითვლება ერთ-ერთ უძველეს და სახელგანთქმულ უნივერსიტეტად. მას ჰყავს პარტნიორები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. აქ ყველანაირი პირობაა სწავლისთვის. უფრო მეტიც, გვაქვს შესაძლებლობა, ურთიერთობა გვქონდეს უცხოელ სტუდენტებთან _ ტრინიდადიდან, მაურიტიუსიდან, თურქეთიდან და ა.შ. ასეთ გარემოში განათლების მიღება უფრო მეტად გამდიდრებს. დეპარტამენტის თანამშრომლები ძალიან კეთილგანწყობილნი არიან.

**– რას იტყოდით სასწავლო პროცესზე, თქვენთვის გამორჩეულ საგანსა თუ პედაგოგზე?**

**– ბალაჯი ვასანთასეკარი:** სასწავლო გეგმა შედგენილია ისე, რომ შეესატყვისება დასავლური სამედიცინო განათლების დონეს. მიუხედავად იმისა, რომ თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტი შედარებით ახალგაზრდაა, მათ დიდი შრომა გასწიეს ჩვენი სწავლებისთვის და ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები გვასწავლიან; ჩემს არჩევანზე რომ იყოს დამოკიდებული, საგნის მასწავლებლად პროფესორ **ზვიად კირტავას** ვისურვებდი შინაგან მედიცინაში, ასევე, ჩვენს დეკანს, პროფესორ **თინათინ ჩიქოვანს**.

**– შამ ტანტრი:** 3 წლის განმავლობაში კლინიკამდელი დისციპლინების სწავლა, რაც მოიცავდა ძირითად მეცნიერებებს, შემდგომ – კლინიკური მედიცინის სწავლის სამწლიანი პერიოდი, რომლის დროსაც სემინარები, უმეტესწილად, სხვადასხვა საავადმყოფოში გვიტარდებოდა, ორიენტირებული იყო პაციენტის მოვლაზე. ჩვენს რჩეულ პედაგოგთა შორის ჩემი მეგობრის აზრს ვიზიარებ – სწორედ ამ პედაგოგების წყალობით მაქვს მყარი საფუძველი აღნიშნულ საგნებში.

**– როგორ ფიქრობთ, რა როლს შეასრულებს პრაქტიკული მეცადინეობანი თქვენს პროფესიულ დაოსტატებაში?**

**– ბალაჯი ვასანთასეკარი:** კლინიკური პრაქტიკა უმნიშვნელოვანესია ექიმისთვის. პრაქტიკულმა სემინარებმა შეგვძინა თავდაჯერებულობა და ის უნარი-ჩვევები, რაც პროფესიული თვალსაზრისით დაგვჭირდება.

**– შამ ტანტრი:** ექვსწლიანი კურსის განმავლობაში შესაძლებლობა მქონდა დავსწრებოდი და მომესმინა ცნობილი უცხოელი პროფესორების ჩატარებული ლექცია-სემინარები, რომლებიც სტუმრობდნენ ჩვენს უნივერსიტეტს. ვფიქრობ, მათ დიდი წვლილი შეიტანეს ჩემს კლინიკურ განათლებაში.

**– რას აპირებთ სამომავლოდ, სად გააგრძელებთ სწავლას, როგორ მიგაჩნიათ, რამდენად დაგეხმარებათ ჩვენთან მიღებული ცოდნა თანამედროვეობის შესაფერის ექიმ-სპეციალისტად ჩამოყალიბებისთვის?**

**– ბალაჯი ვასანთასეკარი:** ვგეგმავ სწავლა განვაგრძო ამერიკის შეერთებულ შტატებში, შინაგანი მედიცინის განხრით. შენობის სიძლიერე მის საძირკველშია. თსსუ-ის როლი უმნიშვნელოვანესია ჩემთვის ძლიერი საძირკვლის მომზადების თვალსაზრისით; სწორედ მან მომცა საფუძველი, რათა მომავალში წარმატებულ ექიმად ჩამოვყალიბდე.

**– შამ ტანტრი:** ვგეგმავ რეზიდენტურა შინაგან მედიცინაში გავიარო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო მოგვიანებით – გადამზადება კარდიოლოგიაში. სწავლის ბოლო წელს, **სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის**, **დეკანატის და პროფესორ კენეტ ვოლკერის** წყალობით, მივიღე არაჩვეულებრივი შესაძლებლობა ორთვიანი კლინიკური როტაციის კურსი გამევლო ამერიკის ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებელში – **ემორის უნივერსიტეტში** (ატლანტა – აშშ). ეს იყო არაჩვეულებრივი გამოცდილება, რომელმაც შესამჩნევად წინ წამწია კლინიკურ უნარ-ჩვევების ათვისების თვალსაზრისით და საშუალება მომცა შემესწავლა უახლესი მიღწევები მედიცინაში. ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე ახალი ამერიკულ პროგრამის შესახებ თსსუ-ში, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს მიიღონ საუკეთესო განათლება მედიცინაში და დიპლომისშემდგომი სპეციალიზაცია გაიარონ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**– გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის.**